



საქართველო



23724-01-2-202009081218

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/23724

08/09/2020

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ იგეგმება საქართველოს მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 2006 წლის 13 დეკემბრის ფაკულტატური ოქმის სავალდებულოდ აღიარება, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 20 ივლისს.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-14 მუხლის შესაბამისად, პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ტექსტებს, განმარტებით ბარათს, შესაბამის უწყებათა დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ამავდროულად, ოქმის რატიფიცირებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო მოსმენებში მონაწილეობის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, თამილა ბარკალაიას კანდიდატურას.

დანართი: *ქერილის შინაარსის შესაბამისად.*

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030100359002220

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

03 / სექტემბერი / 2020 წ.

№ 01/10609

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თორთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი უწყების საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტიდან შემოსული წერილი (02.09.20. № 01/23109) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 2006 წლის 13 დეკემბრის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებისათვის საჭირო შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ სამინისტროსთვის შშმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაცია და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების რეალიზაციასა და კონვენციით მოცემული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვან იმპლემენტაციას. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია და მიზანშეწონილად მივიჩნევთ ოქმის სავალდებულოდ აღიარებას.

ამასთანავე, თქვენი მოთხოვნის თანახმად, გიზავნით ჩვენ მიერ მომზადებულ შეთანხმების ფურცელს და „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატურ ოქმზე, საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას კანდიდატურას.

გთხოვთ, ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით, „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოთ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელმმართველად



თამილა ბარკალაია



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის
ფაკულტატიური ოქმი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი

წინამდებარე ოქმის სახელმწიფო მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. წინამდებარე ოქმის სახელმწიფო მხარე („სახელმწიფო მხარე“) აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის („კომიტეტი“) კომპეტენციას, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მიიღოს და განიხილოს იმ პირების ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით წარდგენილი შეტყობინებები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არიან სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციის დებულებების დარღვევის მსხვერპლნი.

2. კომიტეტი არ იღებს არც ერთ შეტყობინებას თუ იგი ეხება კონვენციის იმ სახელმწიფო მხარეს, რომელიც არ არის წინამდებარე ოქმის მხარე.

მუხლი 2

კომიტეტი შეტყობინებას ცნობს დაუშვებლად, როდესაც:

- ა) შეტყობინება არის ანონიმური;
- ბ) შეტყობინება წარმოადგენს ამგვარ შეტყობინებათა წარდგენის უფლების დარღვევას ან შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან მიმართებით;
- გ) შეტყობინების საკითხი უკვე განხილულ იქნა კომიტეტის მიერ ან განხილულ იქნა ან განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან მორიგების სხვა პროცედურით;
- დ) ყველა შესაძლო შიდა საშუალება არ ამოწურულა. ანალოგიური წესი არ მოქმედებს, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი საშუალებების გამოყენება არაგონივრულად ხანგრძლივია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქმედით შედეგს გამოიღებს;
- ე) იგი აშკარად დაუსაბუთებელია ან არასაკმარისად დასაბუთებული; ან როდესაც
- ვ) გარემოებები, რომლებიც განეკუთვნება შეტყობინების საგანს, გამოვლინდა დაინტერესებული სახელმწიფო მხარისათვის წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლამდე თუ აღნიშნული გარემოებები ძალაში შესვლის თარიღის შემდგომაც არ ვლინდება.

მუხლი 3

წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, კომიტეტი, მისთვის გადაცემულ ნებისმიერ შეტყობინებას კონფიდენციალურად გააცნობს სახელმწიფო მხარეს. ექვსი თვის განმავლობაში, მიმღები სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წერილობით განმარტებებს ან განცხადებებს, რათა გააცნოს მას არსებითი საკითხი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაცვის სამართლებრივი საშუალებები, რომელთა მიღებაც შეეძლო აღნიშნულ სახელმწიფოს.

მუხლი 4

1. შეტყობინების მიღების შემდგომ და იქამდე, სანამ მოხდება საქმის არსებითი განხილვა, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ სახელმწიფო მხარეს, დაუყოვნებელი განხილვისთვის, გადასცეს

მოთხოვნა, რომ აღნიშნულმა სახელმწიფო მხარემ მიიღოს იმგვარი დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს სავარაუდო დარღვევის მსხვერპლისთვის ან მსხვერპლებისათვის შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

2. როდესაც კომიტეტი გამოიყენებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ უფლებამოსილებას, ეს არ გულისხმობს შეტყობინების დასაშვებობის ან არსებით განხილვაზე მიღების განსაზღვრას.

მუხლი 5

წინამდებარე ოქმის საფუძველზე წარდგენილი შეტყობინებების შესწავლისას, კომიტეტი მართავს დახურულ შეხვედრებს. შეტყობინების შესწავლის შემდგომ, კომიტეტი თავის წინადადებებსა და რეკომენდაციებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადასცემს დაინტერესებულ სახელმწიფო მხარესა და განმცხადებელს.

მუხლი 6

1. თუ კომიტეტი მიიღებს სარწმუნო ცნობებს სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციაში გაწერილი უფლებების მძიმე და სისტემატიური დარღვევების შესახებ, კომიტეტი, აღნიშნული ინფორმაციის შესწავლის პროცესში თანამშრომლობისთვის, იწვევს ხსენებულ სახელმწიფო მხარეს და ამ მიზნით, მისგან მოითხოვს ცნობებთან დაკავშირებული სათანადო მონაცემების წარმოდგენას.

2. იმ მონაცემების მხედველობაში მიღებით, რომლებიც წარადგინოს დაინტერესებულმა სახელმწიფო მხარემ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელმისაწვდომი სარწმუნო ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია, თავისი ერთი ან მეტი წევრი განაწესოს გამოკვლევის განსახორციელებლად და კომიტეტისთვის საგანგებო ანგარიშის წარსადგენად. დასაბუთებულ შემთხვევებში, და სახელმწიფო მხარის თანხმობით, გამოკვლევა შეიძლება მოიცავდეს მის ტერიტორიაზე ვიზიტს.

3. ამგვარი გამოკვლევის შედეგების შესწავლის შემდგომ, კომიტეტი, აღნიშნულ შედეგებს, ნებისმიერ კომენტართან და რეკომენდაციასთან ერთად გადასცემს დაინტერესებულ სახელმწიფო მხარეს.

4. დაინტერესებული სახელმწიფო მხარე, კომიტეტის მიერ გადაცემული შედეგების, კომენტარებისა და რეკომენდაციების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში, კომიტეტს წარუდგენს საკუთარ მონაცემებს.

5. ამგვარი გამოკვლევა ტარდება კონფიდენციალურად და პროცედურების ყველა ეტაპზე მოითხოვება სახელმწიფო მხარის თანამშრომლობა.

მუხლი 7

1. კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ სახელმწიფო მხარეს მოუწოდოს, კონვენციის 35-ე მუხლის საფუძველზე მომზადებულ საკუთარ ანგარიშში, შეიტანოს წინამდებარე ოქმის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოებული გამოკვლევის საპასუხოდ მიღებული ნებისმიერი ღონისძიების დეტალები.

2. საჭიროების შემთხვევაში, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ექვსთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომ, კომიტეტს შეუძლია მოუწოდოს დაინტერესებულ სახელმწიფო მხარეს აცნობოს მას ამგვარი გამოკვლევის საპასუხოდ მიღებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 8

თითოეულ სახელმწიფო მხარეს, წინამდებარე ოქმის ხელმოწერისას ან რატიფიკაციისას ან მასთან შეერთებისას, შეუძლია განაცხადოს რომ იგი არ აღიარებს კომიტეტის მე-6 და მე-7 მუხლებში მოცემულ კომპეტენციას.

მუხლი 9

გაეროს გენერალური მდივანი არის წინამდებარე ოქმის დეპოზიტარი.

მუხლი 10

წინამდებარე ოქმი ხელმოსაწერად ღია არის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისა და რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაციებისათვის გაეროს შტაბ-ბინაში, ნიუ იორკი, 2007 წლის 30 მარტამდე.

მუხლი 11

წინამდებარე ოქმი ექვემდებარება ამ ოქმის ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციას, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება ან მასთან შეერთება. იგი ექვემდებარება ამ ოქმის ხელმომწერი რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაციების ფორმალურ დადასტურებას, რომელთაც ფორმალურად დაადასტურეს ან შეუერთდნენ კონვენციას. იგი ღია არის შეერთებისათვის ნებისმიერი სახელმწიფოს ან რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაციის მიერ, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია, ფორმალური დადასტურება ან მასთან შეერთება და ამავდროულად არ მოუწერია ხელი აღნიშნული ოქმისთვის.

მუხლი 12

1. "რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაცია" ნიშნავს მოცემული რეგიონის სუვერენული სახელმწიფოების მიერ დაარსებულ ორგანიზაციას, რომელსაც მისმა წევრმა სახელმწიფოებმა, კონვენციითა და წინამდებარე ოქმით დარეგულირებულ საკითხებთან მიმართებით, გადასცეს კომპეტენცია. ამგვარი ორგანიზაციები, საკუთარი ფორმალური დადასტურების ან შეერთების სიგელში, აცხადებენ კონვენციითა და ოქმით დარეგულირებულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს. შემდგომში, ისინი დეპოზიტარს აცნობებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლების ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ.

2. წინამდებარე ოქმში მოცემული მითითებები „სახელმწიფო მხარეებზე“ ვრცელდება ამგვარ ორგანიზაციებზეც მათი კომპეტენციის ფარგლებში.

3. რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაციის მიერ დეპონირებული ნებისმიერი სიგელი არ ექცევა მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-15 მუხლის მეორე პუნქტის მიზნებში.

4. რეგიონულ საინტეგრაციო ორგანიზაციებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან მიმართებით, სახელმწიფო მხარეთა შეხვედრებზე შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ხმის მიცემის უფლება, რაც მოიცავს მათ წევრ სახელმწიფოთა იმ რაოდენობას, რომლებიც არიან წინამდებარე ოქმის მხარეები. ამგვარი ორგანიზაცია ვერ გამოიყენებს ხმის მიცემის უფლებას თუ მისი რომელიმე წევრი გამოიყენებს საკუთარი ხმის უფლებას და პირიქით.

მუხლი 13

1. კონვენციის ძალაში შესვლის გათვალისწინებით, წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მისი რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მეათე სიგელის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის ან რეგიონული საინტეგრაციო ორგანიზაციისათვის, რომელიც ოქმის რატიფიკაციას, ფორმალურ დადასტურებას ან ოქმთან შეერთებას ახდენს მეათე ამგვარი სიგელის დეპონირების შემდგომ, ოქმი ძალაში შედის ამგვარი სიგელის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 14

1. დაუშვებელია წინამდებარე ოქმის საგანთან და მიზანთან შეუსაბამო დათქმები გაკეთება.

2. დათქმების უკან გამოწვევა შეიძლება ნებისმიერ დროს.

მუხლი 15

1. ნებისმიერ სახელმწიფო მხარეს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე ოქმის ცვლილება და გადასცეს იგი გაეროს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი, ნებისმიერ წარმოდგენილ ცვლილებას გადასცემს სახელმწიფო მხარეებს, აღნიშნული წინადადებების განხილვისა და მათზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სახელმწიფო მხარეების შეხვედრის გამართვასთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის შეტყობინების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შეტყობინების გადაცემის თარიღიდან ოთხი თვის ვადაში, სახელმწიფო მხარეთა სულ მცირე ერთი მესამედი ემხრობა ამგვარი შეხვედრის გამართვას, გენერალური მდივანი გაეროს ეგიდით იწვევს შეხვედრას. დამსწრე და ხმის მიმცემ სახელმწიფო მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული ნებისმიერი ცვლილება გენერალური მდივნის მიერ დასამტკიცებლად გადაეცემა გენერალურ ასამბლეას და შემდგომ თითოეულ სახელმწიფო მხარეს მისაღებად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული და დამტკიცებული ცვლილება ძალაში შედის იმ დღიდან ოცდამეათე დღეს, როდესაც დეპონირებულ მიღების სიგელთა რაოდენობა მიაღწევს ცვლილების მიღების თარიღისას არსებულ სახელმწიფო მხარეთა რაოდენობის ორ მესამედს. შემდგომში, ცვლილება ნებისმიერი სახელმწიფო მხარისათვის ძალაში შედის საკუთარი მიღების სიგელის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს. ცვლილება შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფო მხარეთათვის, რომელთაც იგი მიიღეს.

მუხლი 16

სახელმწიფო მხარეს წინამდებარე ოქმის დენონსაცია შეუძლია მოახდინოს გაეროს გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. დენონსაცია ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდგომ.

მუხლი 17

წინამდებარე ოქმის ტექსტი ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერ სათანადო ფორმატში.

მუხლი 18

წინამდებარე ოქმის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად აუთენტურია.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელმომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, არიან რა თავიანთი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

 საქართველოს საგარეო საეჭვო სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ზედმეტყველება
თარგმანი გიორგი

სარეგისტრაციო REGISTRATION № 31005-01

თარიღი/DATE 08-03-2020

დაამტკიცა/CERTIFIED BY 6

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of international Agreements of Georgia



البروتوكول الاختياري لاتفاقية حقوق الأشخاص ذوي الإعاقة

残疾人权利公约任择议定书

**OPTIONAL PROTOCOL TO THE CONVENTION ON THE
RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES**

**PROTOCOLE FACULTATIF SE RAPPORTANT À LA
CONVENTION RELATIVE AUX DROITS DES
PERSONNES HANDICAPÉES**

**ФАКУЛЬТАТИВНЫЙ ПРОТОКОЛ К КОНВЕНЦИИ
О ПРАВАХ ИНВАЛИДОВ**

**PROTOCOLO FACULTATIVO DE LA CONVENCION SOBRE
LOS DERECHOS DE LAS PERSONAS CON DISCAPACIDAD**



OPTIONAL PROTOCOL TO THE CONVENTION ON THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES

The States Parties to the present Protocol have agreed as follows:

Article 1

1. A State Party to the present Protocol ("State Party") recognizes the competence of the Committee on the Rights of Persons with Disabilities ("the Committee") to receive and consider communications from or on behalf of individuals or groups of individuals subject to its jurisdiction who claim to be victims of a violation by that State Party of the provisions of the Convention.
2. No communication shall be received by the Committee if it concerns a State Party to the Convention that is not a party to the present Protocol.

Article 2

The Committee shall consider a communication inadmissible when:

- (a) The communication is anonymous;
- (b) The communication constitutes an abuse of the right of submission of such communications or is incompatible with the provisions of the Convention;
- (c) The same matter has already been examined by the Committee or has been or is being examined under another procedure of international investigation or settlement;
- (d) All available domestic remedies have not been exhausted. This shall not be the rule where the application of the remedies is unreasonably prolonged or unlikely to bring effective relief;
- (e) It is manifestly ill-founded or not sufficiently substantiated; or when
- (f) The facts that are the subject of the communication occurred prior to the entry into force of the present Protocol for the State Party concerned unless those facts continued after that date.

Article 3

Subject to the provisions of article 2 of the present Protocol, the Committee shall bring any communications submitted to it confidentially to the attention of the State Party. Within six months, the receiving State shall submit to the Committee written explanations or statements clarifying the matter and the remedy, if any, that may have been taken by that State.

Article 4

1. At any time after the receipt of a communication and before a determination on the merits has been reached, the Committee may transmit to the State Party concerned for its urgent consideration a request that the State Party take such interim measures as may be necessary to avoid possible irreparable damage to the victim or victims of the alleged violation.
2. Where the Committee exercises its discretion under paragraph 1 of this article, this does not imply a determination on admissibility or on the merits of the communication.

Article 5

The Committee shall hold closed meetings when examining communications under the present Protocol. After examining a communication, the Committee shall forward its suggestions and recommendations, if any, to the State Party concerned and to the petitioner.

Article 6

1. If the Committee receives reliable information indicating grave or systematic violations by a State Party of rights set forth in the Convention, the Committee shall invite that State Party to cooperate in the examination of the information and to this end submit observations with regard to the information concerned.
2. Taking into account any observations that may have been submitted by the State Party concerned as well as any other reliable information available to it, the Committee may designate one or more of its members to conduct an inquiry and to report urgently to the Committee. Where warranted and with the consent of the State Party, the inquiry may include a visit to its territory.
3. After examining the findings of such an inquiry, the Committee shall transmit these findings to the State Party concerned together with any comments and recommendations.

4. The State Party concerned shall, within six months of receiving the findings, comments and recommendations transmitted by the Committee, submit its observations to the Committee.

5. Such an inquiry shall be conducted confidentially and the cooperation of the State Party shall be sought at all stages of the proceedings.

Article 7

1. The Committee may invite the State Party concerned to include in its report under article 35 of the Convention details of any measures taken in response to an inquiry conducted under article 6 of the present Protocol.

2. The Committee may, if necessary, after the end of the period of six months referred to in article 6, paragraph 4, invite the State Party concerned to inform it of the measures taken in response to such an inquiry.

Article 8

Each State Party may, at the time of signature or ratification of the present Protocol or accession thereto, declare that it does not recognize the competence of the Committee provided for in articles 6 and 7.

Article 9

The Secretary-General of the United Nations shall be the depositary of the present Protocol.

Article 10

The present Protocol shall be open for signature by signatory States and regional integration organizations of the Convention at United Nations Headquarters in New York as of 30 March 2007.

Article 11

The present Protocol shall be subject to ratification by signatory States of the present Protocol which have ratified or acceded to the Convention. It shall be subject to formal confirmation by signatory regional integration organizations of the present Protocol which have formally confirmed or acceded to the Convention. It shall be open for accession by any State or regional integration organization which has ratified, formally confirmed or acceded to the Convention and which has not signed the Protocol.

Article 12

1. "Regional integration organization" shall mean an organization constituted by sovereign States of a given region, to which its member States have transferred competence in respect of matters governed by the Convention and the present Protocol. Such organizations shall declare, in their instruments of formal confirmation or accession, the extent of their competence with respect to matters governed by the Convention and the present Protocol. Subsequently, they shall inform the depositary of any substantial modification in the extent of their competence.
2. References to "States Parties" in the present Protocol shall apply to such organizations within the limits of their competence.
3. For the purposes of article 13, paragraph 1, and article 15, paragraph 2, of the present Protocol, any instrument deposited by a regional integration organization shall not be counted.
4. Regional integration organizations, in matters within their competence, may exercise their right to vote in the meeting of States Parties, with a number of votes equal to the number of their member States that are Parties to the present Protocol. Such an organization shall not exercise its right to vote if any of its member States exercises its right, and vice versa.

Article 13

1. Subject to the entry into force of the Convention, the present Protocol shall enter into force on the thirtieth day after the deposit of the tenth instrument of ratification or accession.
2. For each State or regional integration organization ratifying, formally confirming or acceding to the present Protocol after the deposit of the tenth such instrument, the Protocol shall enter into force on the thirtieth day after the deposit of its own such instrument.

Article 14

1. Reservations incompatible with the object and purpose of the present Protocol shall not be permitted.
2. Reservations may be withdrawn at any time.

Article 15

1. Any State Party may propose an amendment to the present Protocol and submit it to the Secretary-General of the United Nations. The Secretary-General shall communicate any proposed amendments to States Parties, with a request to be notified whether they favour a meeting of States Parties for the purpose of considering and deciding upon the proposals. In the event that, within four months from the date of such communication, at least one third of the States Parties favour such a meeting, the Secretary-General shall convene the meeting under the auspices of the United Nations. Any amendment adopted by a majority of two thirds of the States Parties present and voting shall be submitted by the Secretary-General to the General Assembly of the United Nations for approval and thereafter to all States Parties for acceptance.

2. An amendment adopted and approved in accordance with paragraph 1 of this article shall enter into force on the thirtieth day after the number of instruments of acceptance deposited reaches two thirds of the number of States Parties at the date of adoption of the amendment. Thereafter, the amendment shall enter into force for any State Party on the thirtieth day following the deposit of its own instrument of acceptance. An amendment shall be binding only on those States Parties which have accepted it.

Article 16

A State Party may denounce the present Protocol by written notification to the Secretary-General of the United Nations. The denunciation shall become effective one year after the date of receipt of the notification by the Secretary-General.

Article 17

The text of the present Protocol shall be made available in accessible formats.

Article 18

The Arabic, Chinese, English, French, Russian and Spanish texts of the present Protocol shall be equally authentic.

IN WITNESS THEREOF the undersigned plenipotentiaries, being duly authorized thereto by their respective Governments, have signed the present Protocol.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმის განმარტებითი ბარათი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (შემდგომში - *კონვენცია*) ამ სფეროში ადამიანის უფლებების ყოვლისმომცველი ხელშეკრულება და ყველაზე მაღალი სტანდარტის მქონე ოფიციალური დოკუმენტია. კონვენციით აღიარებული პრინციპები და ღირებულებები საფუძვლად ედება მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ და მისი ეფექტური იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას.

კონვენციასა და მის ფაკულტატიურ ოქმს საქართველომ 2009 წლის 10 ივლისს მოაწერა ხელი, თუმცა საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის №1888-რს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, ხოლო ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება არ მომხდარა.

ფაკულტატიური ოქმი მიზნად ისახავს კონვენციის განხორციელების მხარდაჭერასა და მონიტორინგს და ითვალისწინებს ორ პროცედურას:

1. უფლებების აღდგენის მიზნით ინდივიდუალური საჩივრების განხილვას (საჩივარს წევრ სახელმწიფოში გავლილი უნდა ჰქონდეს გასაჩივრების ყველა სამართლებრივი ეტაპი) და რეკომენდაციების მიღებას;
2. კონვენციის უბეში და სისტემატური დარღვევების საიმედო მტკიცებულების გამოკვლევას და რეკომენდაციების მიღებას.

საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირებით განაცხადა, რომ შშმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაცია და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნული პრინციპის განსახორციელებლად ყველაზე თანამიმდევრული, ქმედითი ნაბიჯი სწორედ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება იქნება, რომლის მიზანსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა და კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვანი განხორციელება წარმოადგენს.

ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს სამართლებრივი გარანტიების საფუძველზე განახორციელონ ინდივიდუალური ადვოკატირების ეფექტიანი მექანიზმები.

ამასთან, საქართველომ არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე აიღო ვალდებულება მოეხდინა ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება. კერძოდ, ეს საკითხი აღინიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) რეკომენდაციებში, რომელიც საქართველომ გაიზიარა; ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების ვალდებულება აიღო საქართველოს მთავრობამ - „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წ.წ. სამთავრობო



სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, მისი რატიფიცირება, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი, ასევე შევიდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმაშიც.

შესაბამისად, საქართველო მზად არის შეასრულოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებები და მოახდინოს ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაციას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას და კონვენციით მოცემული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვან იმპლემენტაციას.

ამ ეტაპისთვის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური ასიგნებების გამოყოფას და არ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას.





საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 09/4498

15 / ივლისი / 2020 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N 01/18164, 10.07.2020) წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი და მის მიმართ, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერა/
მთავრდება/მ
ელექტრონულად



ეკატერინე მიქაბაძე



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

94174-08-02-2-202008141116

N 08-02/94174
14/08/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 10 ივლისის № 01/18164 წერილით წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის ტექსტი და გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.

ამასთან, აღნიშნული პროექტის მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სხვა სახის შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

გიორგი თინიკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

იურიდიული დეპარტამენტი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



22902-01-2-202008311719

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/22902

31/08/2020

დასკვნა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 2006 წლის 13 დეკემბრის ფაკულტატური ოქმის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 2006 წლის 13 დეკემბრის ფაკულტატური ოქმი და ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისი სავალდებულოდ აღიარება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 5 20 01790362



03/08/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ლევან წურჭუმიას

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ივნისის №01/18164 წერილის პასუხად, რომელიც ეხება
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის
საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარების საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, ზემოხსენებული დოკუმენტის
საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარების წინააღმდეგი არ არის.

პატივისცემით,

ნინო გახარია

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის დროებით
შემსრულებელი

5.





საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 1 20 0000595627



13/07/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს,
ბატონ ლევან წურწუმიას

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 10 ივლისის №01/18164 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის
ტექსტთან და განმარტებით ბარათთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ხანდოლიშვილი კახა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3035-01-2-202008271145



N 01/3035

27/08/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე წლის 10 ივლისის N01/18164 წერილის პასუხად (სამინისტროში რეგისტრაციის N4363/01, თარიღი 10/07/2020), რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის სავალადადებლოდ აღიარების თაობაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დასკვნას, გაცნობებთ, რომ კომპეტენციის ფარგლებში ხსენებულ დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010118684385620

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№11778

01 / სექტემბერი / 2020 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 10 ივლისის № 01/18164 წერილით წარმოდგენილი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმი და ამავე წერილში დასმული საკითხი - საქართველოს მიერ მისი სავალდებულოდ აღიარების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს პოზიცია მოცემულია რამდენიმე დასკვნის ფარგლებში, მაშინ, როცა კონვენცია და მისი ფაკულტატიური ოქმი იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი იყო მათი ხელმოწერის, ხოლო შემდგომ - სავალდებულოდ აღიარების ეტაპზე. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ფაკულტატიური ოქმი მოცემულ ეტაპზე არ არის სავალდებულოდ აღიარებული, ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ ფაკულტატიური ოქმის მე-11 მუხლის საფუძველზე, მისი სავალდებულოდ აღიარება უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების გზით.

ამასთან, აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპეტენტური უწყებების მიერ დამატებით უნდა შეფასდეს საკითხი, ოქმის სავალდებულოდ აღიარების შემდეგ შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას. გარდა ამისა, შესაბამისი კომპეტენტური უწყების მიერ განხილულ უნდა იქნეს საკითხი ფაკულტატიური ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დათქმის გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფაკულტატიური ოქმის მე-14 მუხლი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტარულად



მიხეილ სარჯველაძე

შეთანხმების ფურცელი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმთან დაკავშირებით

უწყება	შენიშვნა	შედეგი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	კომპეტენტური უწყებების მიერ დამატებით უნდა შეფასდეს საკითხი, ოქმის სავალდებულოდ აღიარების შემდეგ შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას.	ამ ეტაპისთვის ოქმის რატიფიცირება არ გამოიწვევს ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობას. ოქმის რატიფიცირებისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ, ასევე, გაეროს შშმ პირთა უფლებათა კომიტეტის მიერ სამომავლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, შესაძლოა დადგეს დღის წესრიგში კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის საჭიროება, რაც შემდგომ ეტაპზე დამატებით გაანალიზდება.
	შესაბამისი კომპეტენტური უწყების მიერ განხილულ უნდა იქნეს საკითხი ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დათქმის გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფაკულტატური ოქმის მე-14 მუხლი	მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული და საქართველო არ იყენებს ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დათქმის გამოყენების შესაძლებლობას.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შენიშვნები არ აქვს	

მ. ლ.